



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1955
28/03/2018

1955-09-2-201803281736



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ა(ა)პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, ზემო აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტი, კერძოდ დანართის მე-15 და მე-16 გრაფების ამოღება განპირობებულია იმით, რომ როცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 17 თებერვალს მიიღო N11 განკარგულება, რომელიც შეეხებოდა განკარგულების დანართის მე-15 გრაფის ცვლილებას, მას შემდგომ არ მოჰყოლია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, აღსრულებისათვის საჭირო დოკუმენტის (ბრძანების) მომზადება, ხოლო ამჟამად გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ზემოთხსენებული სპორტული ბაზის მოვლა-პატრონობა მიზანშეწონილია განახორციელოს უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერიამ. ხოლო ჩემს მიერ წარმოდგენილ პროექტში გაწერილი დანართის მე-16 გრაფის ცვლილება შეეხება მოძრავი ქონების - ავტომანქანა მიცემაში-მონტეროს ამოღებას, რომელიც არის გაუმართავ მდგომარეობაში და ის შეტანილია საკრებულოს დასამტკიცებლად მოაზრებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საპრივატიზებო ნუსხის პროექტის დანართში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2017 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა თანდართული დანართის შესაბამისად“

გ) განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-15 და მე-16 გრაფები იქნეს ამოღებული.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.